+

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

ქ. წყალტუბო -- მარტი, 2025 წელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც ავტოსადგურის არარსებობის გამო სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის კ[2]) ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ დასახლებების ნუსხა, სადაც ავტოსადგურის არარსებობის გამო სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა, დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მოამზადა: **ნ. მჟავია**

შეთანხმებულია: **გ. ყურაშვილი**

მ. ჩხეიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482508428**
თარიღი: **25/03/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2023 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" შევიდა ცვლილება და მე-16 მუხლის მეორე პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარისი ,,კ1" და ,,კ2" ქვეპუნქტები:

კ1) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

კ2) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ დასახლებაში ავტოსადგურის არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი ნორმატიული აქტით იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრა, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამართლებრივი დოკუმენტების კანონმდებლობის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გიგზავნით, ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც ავტოსადგურის არარსებობის გამო სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" დადგენილების პროექტს.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

		დანართი №1
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული იმ დასახლებების ნუსხა, სადაც ავტოსადგურის არარსებობის გამო სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა		
დასახლებების ჩამონათვალი	**სამგზავრო გადაყვანის სახეობა**	**რეისი**
სოფ. პატრიკეთი	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. პატრიკეთი - ქ. ქუთაისი
სოფ. ნამოხვანი	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. ნამოხვანი - ქ. ქუთაისი
სოფ. საყულია	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. საყულია - ქ. ქუთაისი
სოფ. საყულია (ახალი საყულია)	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. საყულია (ახალი საყულია) - ქ. ქუთაისი
სოფ. დღნორისა	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. დღნორისა - ქ. ქუთაისი
სოფ. მაღლაკი (მიწაწითელი)	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. მაღლაკი (მიწაწითელი) - ქ. ქუთაისი
სოფ. გეგუთი (ვარციხჰესის დასახლება)	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. გეგუთი (ვარციხჰესის დასახლება) - ქ. ქუთაისი
სოფ. ხომული	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. ხომული - ქ. ქუთაისი
სოფ. წყალტუბო (მე-2 უბანი)	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. წყალტუბო (მე-2 უბანი) - ქ. ქუთაისი

სოფ. ფარცხანაყანევი	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. ფარცხანაყანევი - ქ. ქუთაისი
სოფ. გვიშტიბი	საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა	სოფ. გვიშტიბი - ქ. ქუთაისი